№ 5897/24-8 "28" 10 2025

შპს „ნს სტუდიო“-ს დირექტორს
ბატონ ლუკა ჩაგანავას
ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. #3
ტელ: 593278858

ბატონო ლუკა,

თქვენგან შემოსული წერილის (#1/04; 23/10/2025წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. #10-ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთებზე ს. კოდით 01.17.11.002.011; 01.17.11.002.013; 01.17.11.002.018; 01.17.11.004.032; 01.17.11.004.033; 01.17.11.004.041 არ გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაცია. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების დადგინდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაციის არსებობა, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიულ სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

პატივისცემით,

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ირაკლი აბაშიძე

საპროექტო ტერიტორია



მიწის ნაკვეთი საკადასტრო საზღვარი

საპროექტო შენობა

სილქნეტის კუთვნილებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობა

აივნის კონტური

საპროექტო გზა

"სილქნეტი"
შეთანხმებულია
საქმიანობის დაწყების წინ შეთანხმებულ იქნას სს "სილქნეტის" წარმომადგენელთან
ტელეფონი: 2 95 00 28, 2 93 27 40
24.10.25წ.

თარიღი: 8/10/2025
ფორმატი A3/1:1000

წყარო:

მდებარეობა:
ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N10

პროექტი:
მოსკოვის გამზ. მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის განაშენიანების რეგ. გეგმის გეგმარებითი დავალება

NS Studio
Adr: 0179 Bazaleti str. #3 Tbilisi
Georgia / tel: +995 593 278858 / info@nsstudio.ge

Authors:
ლუკა ჩაგანავა
ნინი ქანტურია
უჩა ზღუდაძე
ნათია ყიზილაშვილი
მარიამ ძიმისტარიშვილი

თანხმობა

ქ. თბილისი

27.10/--/2025წ

ჩვენ, შპს უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ 204905488) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ თაყაიშვილის (პ/ნ 01006009900) სახით ვადასტურებთ შემდეგს:

რომ ანა ჩაჩუას ,პ/ნ: 01024067282 გიორგი სკლიარენკოს , პ/ნ:: 01005000710 გიორგი ჩაჩუას , პ/ნ: 01024082961 ლევან ჩაჩუას პ/ნ:: 01008020990 ლუდმილა მირზოიანის , პ/ნ:: 01015022488 მანანა ჩხეიძის , პ/ნ:: 01024056121 რევაზ ცაგარეიშილის პ/ნ:: 01024004582 საკუთრებაში რეგისტრირებულ არსებულ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდით 01.17.11.002.011 განთავსებული სადემონტაჟო ფარდული, მასზე მიდგმული შენობის ნაწილი და არსებული ღობის ნაწილი კვეთს საკუთარ საზღვრებს და გადადის საკ. კოდი 01.17.11.002.010 ტერიტორიაზე, რომლის მესაკუთრეც გახლავთ შპს უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ 204905488)

ვაცხადებთ თანხმობას, მასზედ რომ მოახდინოს ჩვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე საკ. კოდი 01.17.11.002.010) რეგისტრირებულ საზღვრებში მოქცეული, ანა ჩაჩუა ,პ/ნ: 01024067282 გიორგი სკლიარენკო , პ/ნ:: 01005000710 გიორგი ჩაჩუა , პ/ნ: 01024082961 ლევან ჩაჩუა პ/ნ:: 01008020990 ლუდმილა მირზოიანი , პ/ნ:: 01015022488 მანანა ჩხეიძე , პ/ნ:: 01024056121 რევაზ ცაგარეიშილი-ს პ/ნ:: 01024004582 საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე საკ. კოდი 01.17.11.002.011) სადემონტაჟო ფარდულის, მასზე მიდგმული შენობის ნაწილის და არსებული ღობის ნაწილის დემონტაჟი(დანგრევა). საამისოდ გამოიყენოს დემონტაჟისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური საშუალებები, მაქსიმალურად გაითვალისწინოს და დემონტაჟის პროცესში დაიცვას ჩვენს თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დაზიანებისაგან, განახორციელოს ხსენებული დემონტაჟი უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვით. ასევე ვაძლევთ უფლებას მოაწყოს დროებითი საფარიანი ღობე და მოახდინოს დემონტაჟის პროექტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ჩვენს თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საზღვრებში, წარადგინოს წინამდებარე თანხმობა საჭიროებისამებრ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და სახელმწიფო სამსახურებში, მათ შორის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაცხადებ თანხმობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიცილაპიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ N AR11108943 განცხადებაზე.

შპს უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია (ს/ნ 204905488)

დირექტორი: ვასილ თაყაიშვილი (პ/ნ 01006009900) ვასილ თაყაიშვილი

ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერა [ფორმულარი]

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაშვიდ ოქტომბერს მე, საქართველოს ნოტარიუსი მეგი მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19, მომმართა: **ბ-ნმა ვასილ თაყაიშვილმა,** რომელმაც წარმომიდგინა მის მიერ შედგენილი **თანხმობა** [27.10.2025წ.] და მოითხოვა მასზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბ-ნმა ვასილ თაყაიშვილმა** [**დაბ: 14.11.1959წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ნინო და კალისტრატე სალიების ქ. N 29. პ/ნ 01006009900.**] მომმართა.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია **კერძო აქტის** შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები და დამიდასტურა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს.

მისი ნების დადგენის შემდეგ მე, მას განვუმარტე, რომ ვამოწმებ მხოლოდ მის მიერ შედგენილ **დოკუმენტზე** მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა მასში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეს და ნამდვილობას. მე, მას ასევე განვუმარტე, რომ საქართველოს კანონმდებლობით ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, რის შემდეგაც მან ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი **კერძო აქტზე, რომელიც თან ერთვის სანოტარო ფორმულარს.**

დამოწმებულია თითო ეგზემპლარზე ერთი ხელმოწერა, სულ დამოწმებულია ორი ხელმოწერის ნამდვილობა დოკუმენტის ორ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების [29.12.2011წ.] 31-ე მუხლის საფუძველზე 12 .00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 2.16 ლარი, ჯამში: 19.16 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
მეგი მაღალდაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N251464231
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.10.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მეგი მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599709191 ელ–ფოსტა:mmagaldadze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	95637455257925

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუ[illegible]ის შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.[illegible]ry.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



Ziraat Bank
More than a bank

#1108

ქ. თბილისი

30/10/2025

წინამდებარე თანხმობით სს"ზირაათ ბანკი საქართველო" (ს.კ 404534170), აცხადებს თანხმობას მასზედ რომ:

მიწის ნაკვეთი, მისამართი: ქ.თბილისი, გამზირი მოსკოვი #10; საკადასტრო კოდი: 01.17.11.002.011, რომელიც დატვირთულია იპოთეკით სს"ზირაათ ბანკი საქართველო"-ს (ს.კ 404534170) სასარგებლოდ, მოეწყოს დროებითი საფარიანი ღობე და მოხდეს დემონტაჟის პროექტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, ამასთანავე შემდგომში განხორციელდეს დემონტაჟისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვება. წარადგინოს წინამდებარე თანხმობა საჭიროებისამებრ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და სახელმწიფო სამსახურებში, მათ შორის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაცხადებ თანხმობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ N AR11108943 განცხადებასა და შემდგომში წარდგენილ სხვა განცხადებებზე რომლებიც შეეხება დემონტაჟის ან/და მშენებლობის ნებართვის მოპოვებას უძრავ ქონებაზე.

სს „ზირაათ ბანკი საქართველო"-ს (ს/კ 404534170)

დირექტორი

/მერთ ქოზაჯიოღლუ/

JSC ZIRAAT BANK GEORGIA
ZİRAAT BANKASI A.Ş.
GÜRCİSTAN
404534170

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60389643567826

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260090031

რეგისტრაციის თარიღი

27.01.2026 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია
მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
ტელეფონი: 577417172, 591701199

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაშვიდ იანვარს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **გიორგი რატიანმა.** მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ლივიო“, საიდენტიფიკაციო №405627807,** დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2024 წლის 2 ოქტომბერს მომზადებული ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის №B24123652 და რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც საზოგადოების სახელით უფლებამოსილებას მიანიჭებს **შპს „ნს სტუდიო“**–სა და მის დირექტორს ბატონ **ლუკა ჩაგანავას.** მოითხოვა შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **გიორგი რატიანმა,** დაბადებულმა 1990 წლის 6 სექტემბერს თბილისში, პირადი №01008043022, რეგისტრირებულმა ქ.თბილისში, ნინო რამიშვილის ქუჩა №31ა, ბინა 22.

მე მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირებს. ამ განმარტების შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს საზოგადოების ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდაშვიდ იანვარს მე, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ლივიო“, საიდენტიფიკაციო №405627807,** დირექტორი, **გიორგი რატიანი,** დაბადებული 1990 წლის 6 სექტემბერს, პირადი №01008043022, ვანიჭებ უფლებამოსილებას **შპს „ნს სტუდიო“**-ს, საიდენტიფიკაციო №404496933 და მის დირექტორს **ლუკა ჩაგანავას,** დაბადებულს 1991 წლის 16 ოქტომბერს ტყიბულში, პირადი №01017043074, რეგისტრირებულს ქ.თბილისში, ხარლამპ სავანელის ქუჩა №18, შპს „ლივიო“–ს სახელით განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რომელიც საჭიროა 5 ერთეულ უძრავ ქონებებზე: მდებარე: ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი N10, ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი N10-ის მიმდებარედ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: N01.17.11.002.013; N01.17.11.002.011; N01.17.11.002.018; N01.17.11.004.032; 01.17.11.004.033; განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „აგდ“) მომზადებისა და დამტკიცებისათვის, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „გრგ“) მომზადებისა და დამტკიცებისათვის, ასევე შემდგომში შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებისათვის ან/და შემდგომში მასში ცვლილებ(ებ)ის შეტანისათვის.

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად მინდობილ პირს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს შპს „ლივიო“–ს ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში/დაწესებულებაში და მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში; ზედამხედველობის სამსახურში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ საქალაქო სამსახურში ან/და ნებისმიერ სსიპ-ში, გამგეობაში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მიწის ნაკვეთების შემდგომში გაერთიანებისა და გაყოფის მიზნით); საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში და მის მმართველობაში არსებულ სსიპ-ში; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში; ნოტარიუსთან, კომუნალური სერვისების (ბუნებრივი აირის, წყლის და წყალანირების, დასუფთავების, ელექტროენერგიის, ინტერნეტის) მიმწოდებელ კომპანიებში; სს „საქართველოს რკინიგზა“-სთან ურთიერთობაში, მათ შორის მიწის ნაკვეთზე მდებარე რკინიგზის მისასვლელ ლიანდაგთან დაკავშირებით შესაბამისი ნებართვების მისაღებად მოლაპარაკებების გამართვა; შესაბამისი დოკუმენტების დადება, ხელმოწერა და მიღება; ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში.

მინდობილ პირს ენიჭება გამოუთხოვადი უფლებამოსილება: როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით წარადგინოს და მიიღოს წერილები; კორესპონდენციები; პროექტები; თანხმობები; ნებართვები; მოახდინოს მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენა, ცვლილების შეტანა, ფართის კორექტირება, დაზუსტება, კონფიგურაციის ცვლილებები, აზომვითი ნახაზების მომზადება, ფოტომონტაჟის მომზადება; ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო დოკუმენტს. მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებსა თუ სხვა ნებისმიერი პირს, წარადგინოს განცხადებები მშენებლობის ნებართვების ან/და სხვა ნებისმიერი სახის ნებართვის, ლიცენზიის, თანხმობის მისაღებად, ამ მიზნით, საზოგადოების სახელით ან/და საზოგადოების თანხმობის გარეშე, წარადგინოს ნებისმიერი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოში შესაბამისი განცხადებები, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ოქმს, განცხადებას, თანხმობას, ხელშეკრულებას.

მინდობილ პირს ენიჭება უფლებამოსილება შეასრულოს კანონით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება შპს „ლივიო“–ს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისათვის, ზემოაღნიშნული დავალებების ფარგლებში.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2027 წლის 25 მარტამდე.

მინდობილობა დადასტურებულია სამ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ერთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2024 წლის 2 ოქტომბერს მომზადებული ამონაწერი შპს „ლივიო“–ს შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის №B24123652.

გადახდილია 40,40 ლარი - აქედან: საზღაური 30,00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.7 მუხლის საფუძველზე, 5,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 5,40 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

შპს „ლივიო“–ს
სახელით, დირექტორი _____

ნოტარიუსი ნინო მასხულია